# გურიის ერობის მოამბე.

№ 24

ფასი 3 მანეთი

ერობის ორ-კვირეული გაზეთი.

კვირა 1 აგვისტო 1920 წელი ქ. ოზურგეთი.


ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1 აგვისტო.

მალე სამი წელი შესრულდება, რაც რუსეთი სამოქალაქო ომის ცეცხლით იდაგება.

რუსეთის კომუნისტები თავისი მოღვაწეობის პირველ ხანებში ქვეყანას ტრაბახით აყრუებდენ, რომ „სოციალისტური რევოლიუციის" ალი მალე რუსეთის საზღვრებს გადალახავს, ყველა სახელმწიფოებს მოედება და მთელ მსოფლიოს სოციალისტურათ გარდაქმნისო. მაგრამ სინამდვილემ საშინელი დაცინვით უპასუხა მელოცნებე კომუნისტებს. მაგარი ისაა, რომ მათ ვერც ევროპაში გამოიწვიეს მათთვის სასურველი მოძრაობა და თავისი ქვეყანაც ძვლებით მოკირწყლეს, შავ სუდარაში გახვიეს. თუმცა ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოებში უკვე მოხდა რევოლიუცია, მაგრამ ის ყველგან სხვა გზით წავიდა და ყველგან გვერდი აუარა ბოლშევიკების მიერ გამოწერილ რევოლიუციურ რეცეპტებს. მარქსი ამბობდა: ეკონომიურათ განვითარებული ქვეყანა მომავლის სურათია ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყნისთვისო; ბოლშევიკებმა კი დიდი მასწავლებლის ეს ურყევი დებულება ყირაზე დააყუდეს, სთქვეს რა, რომ ეკონომიურათ ჩამორჩენილმა და უკულტურო რუსეთმა უნდა აჩვენოს ევროპას თავისი მომავლის სურათიო· და აი მათმა ასეთმა მატრაკვეცობამ, ისტორიის გარდაუვალი კანონების აბუჩად აგდებამ, შესაფერი შედეგიც მოიტანა,—ერთხელ და სამუდამოთ დაარწმუნა განათლებული კაცობრიობა, თუ როგორ არ უნდა ვაკეთოთ რევოლიუცია.

ბოლოს დროს თვით ბოლშევიკებიც დარწმუნდენ, რომ მას ოცნებას დასავლეთში გასავალი აღარ აქვს და პირი იბრუნეს აზიისაკენ. აქ მათ განიზრახეს მოგროვება იმ მასალისა, რომლის საშუალებითაც კაპიტალისტური ევროპა უნდა აეფეთქებიათ და ხელი გაუწოდეს ოსმალეთის ფაშებს. მაგრამ ისინი აქაც მალე დარწმუნდენ თავის უძლურებაში და იწყეს საიდუმლო მოლაპარაკება ინგლისთან.

დღეს უკვე თითქმის ყველასათვის აშკარაა, თუ რამდენათ არაბუნებრივი გამოდგა კომუნისტების კავშირი ისლამთან. ეს ნათლად დაგვანახვა ჩვენ ადერბეიჯანში მომხდარმა ამბებმა. ბოლშევიკებმა, რომლებიც სიტყვით მუდამ ერთად თვითგამორკვევისა და ძმობა-ერთობის დამცველად გვაჩვენებენ თავს, სინამდვილეში ისეთი იმპერიალისტობა და საზიზღარი მტარვალობა გამოიჩინეს, რომლის მზგავსიც ჯერ ისტორიას არც კი ახსოვს. აზერბეიჯანის ველები, მორწყული მრავალი მუსულმანის სისხლით—ეს ის ადგილებია, სადაც სამარცხვინოთ გაითხარა სამარე ბოლშევიკთა აღმოსავლეთურ პოლიტიკას.

მაგრამ, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ვერარც მოლაპარაკებით აღწევენ ბოლშევიკები რაიმე სასურველ შედეგს. შესაძლებელია, კრასინთან მოლაპარაკება სრულიად შესწყდეს და ის იძულებული შეიქნას ლონდონი დასტოვოს, რასაც შესაძლებელია შედეგად მოჰყვეს მოკავშირეთა მიერ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ აქტიური ზომები, ანტიბოლშევიკური ძალებისთვის დახმარება და სხვ.

ამნაირად, მოსალოდნელია, მოკავშირეთა ბრძოლა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ უფრო აშკარა და უფრო ინტენსიური შეიქნეს; მოსალოდნელია, კვლავ ახალი, ძლიერი და ხანგრძლივი ომი დაიწყოს, რომელიც შეიწირავს ახალი მილიონების სიცოცხლეს, რომელიც შთანთქავს ახალი მილიარდების დოვლათს და ჩააგდებს კაცობრიობას კიდევ მეტს სილატაკესა და უბედურებაში. ასეთია ის პერსპექტივები, რომლებსაც ბოლშევიკების უგუნური პოლიტიკა უქადის კაცობრიობას.

## საუბარი მკითხველთან.

### დემოკრატიული სახელმწიფოსა და დემოკრატიის მოვალეობანი

II

წინა წერილში ჩვენ აღვნიშნეთ მოკლედ დემოკრატიული სახელმწიფოს მოვალეობანი ხალხის

წინაშე. ახლა საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა მოვალეობანი აწევს ხალხს, დემოკრატიას დემოკრატიული სახელმწიფოს, ანუ თავისი საკუთარი თავის წინაშე.

თვითეული მთავრობა ამა თუ იმ სახელმწიფო საქმეს უცქერის მუდამ გაბატონებული კლასის პრიზმით, ზომავს იმისი საზომით და უძღვება იმისი ინტერესების თანახმად. გაბატონებული კლასიც ვალდებულია თავის მხრით ხელი შეუწყოს თავისი ნების აღმასრულებელსა და თავისი ინტერესების მოსამსახურე მთავრობას. მაგრამ ამისათვის საჭიროა გაბატონებული კლასის მიერ პირველ ყოვლისა არსებული მდგომარეობის ცოდნა და თავისი ინტერესების შესაფერი შეგნება. თუ თვითმპყრობელი მთავრობა აგრე დიდხანს ბატონობდა მრავალ მილიონიანი რუსეთის ხალხის ზურგზე ეს სხვათა შორის იმითაც აიხსნება, რომ მემამულე თავადაზნაურობა და ბიუროკრატია, რომელთა ინტერესებსაც ძველი მთავრობა ემსახურებოდა უმთავრესად, ყოველ მხრივ ხელს უწყობდენ თავისი სახელმწიფოს დაცვას, გამაგრებასა და გამტკიცებას, ვინაიდან მათ საკმარისად შეგნებული ჰქონდათ თავისი ინტერესების და სახელმწიფო ინტერესების ერთი და იგივეობა.

დღევანდელ ჩვენს სახელმწიფოში, საქართველოს რესპუბლიკაში, გაბატონებულია ქალაქისა და სოფლის მშრომელი ხალხი, დემოკრატია. და რომ ჩვენი სახელმწიფოს საქმეები კარგად წავიდეს, რეს-პუბლიკა გამტკიცდეს, აღორძინდეს და აყვავდეს, ამისათვის საჭიროა პირველ ყოვლისა დემოკრატია იყოს შესაფერად მომზადებული ბატონობისათვის.

ცნობილია, რომ, რამდენადაც უკულტურო და შეუგნებელია ადამიანი, ან ხალხი პოლიტიკურათ მოუმწიფებელი, იმდენად ნაკლებ იმედებს ამყარებს ის თავის საკუთარ თავზე და მეტ იმედებს ამყარებს ის სხვაზე, იმდენათ უფრო ელის და დაეძებს ის გმირს, მხსნელს, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს მას ყველაფერს ხელის გაუნძრევლათ მიართმევს. მაგრამ სინამდვილეში ასეთ ხალხს მხსნელის ნაცვლად მუდამ მტარვალი ევლინება, ბედნიერებისა და კეთილდღეობის ნაცვლად—მონობა და ბოროტება. ამიტომ ვისაც მშრომელი ხალხის კეთილდღეობა სურს, ის მუდამ იმას უნდა ცდილობდეს, რომ ხალხი თავის საკუთარ ფეხზე დააყენოს, გაუფანტოს მას ყოველგვარი ილიუზიები, განავითაროს მასში აქტივობა და თვით-მოქმედების უნარი და სამუდამოთ შეაგნებინოს მას, რომ ხალხის კეთილდღეობის გაჩენა შეუძლია მხოლოდ ხალხს; რომ ხალხი, რომელიც ამას ვერ შეიგნებს, ვერ გახდება თავისი ბედის ბატონი და რომც გახდეს, ადრე თუ გვიან უსათუოდ დაჰკარგავს [illegible]ნობას და ჩავარდება კვლავ ტანჯვასა და [illegible].

შესაძლებელია არც ერთი ქვეყნის დემოკრატიას არ მოეპოვებინოს ჯერ ისეთი ბატონობა სახელმწიფოში, როგორც ეს მოიპოვა საქართველოს დემოკრატიამ, მაშასადამე, არც ერთი ქვეყნის დემოკრატიას არ ეკისრებოდეს ჯერ ისეთი პასუხისმგებლობა ისტორიის წინაშე, როგორც ეს იკისრა საქართველოს დემოკრატიამ. მაგრამ პასუხისმგებლობას ესაჭიროება პირველ ყოვლისა შესაფერი პოლიტიკური სიმწიფე, სახელმწიფოებრივი აზროვნება. სახელმწიფოებრივი აზროვნება კი ეწოდება იმას, როცა მუდამ და ყოველთვის სახელმწიფოს ინტერესებიდან გამოვდივართ, სახელმწიფოს ინტერესს დღევანდელ საკუთარ ინტერესზე მაღლა ვაყენებთ, დარწმუნებულნი, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს წარმატება და აღორძინება—ეს იგივე დემოკრატიის წარმატება და აღორძინებაა; როცა გვ სმის, რომ სახელმწიფოს ესაჭიროება ჩვენგან შენახვა, დაცვა და განმტკიცება.

ხშირად ხდება, რომ გაბატონებული კლასის, ამ შემთხვევაში დემოკრატიის ერთი რომელიმე წევრის, ან ჯგუფის სადღეისო ინტერესი ეწინააღმდეგება ხოლმე სახელმწიფოს ინტერესს. ასეთს შემთხვევაში არ უნდა დავივიწყოთ, რომ დემოკრატიის ერთი რომელიმე წევრის, ან ჯგუფის მომავალი კეთილდღეობა დამოკიდებულია მთელი დემოკრატიის კეთილ დღეობაზე, ხოლო დემოკრატიის მომავალი კეთილდღეობა კი—დემოკრატიული სახელმწიფოს კეთილდღეობაზე. ამიტომ დემოკრატიის ერთი რომელიმე წევრის, ან ჯგუფის სწორად გაგებული ინტერესი მოითხოვს, რომ მან დემოკრატიული სახელმწიფოს ინტერესი თავის საკუთარ სადღეისო ინტერესზე მაღლა დააყენოს. მაგ. ხშირათ შეგვხვდებათ ისეთი მიწის მუშა, რომელსაც ძლიერ უნდა თუნდ სხვის ხარჯზე, რაც შეიძლება მეტი მიწა მიიღოს და თუ თვითეული კერძო პირი, ან სოფელი იმის ცდაში იქნება, რომ მეტი მიწა მიიღოს, თუნდ ამით სხვა პირი, ან სოფელი იჩაგრებოდეს, ეს დიდს ხიფათში ჩააგდებდა სახელმწიფოს, რომელიც მუდამ მთელი მშრომელი ხალხის ინტერესებიდან გამოდის და ცდილობს, რომ მეტი მიწა უფრო უმიწაწყლო მუშებს დაურიგოს და სხვ. ან და, თუ ჩვენ სახელმწიფოსადმი ორგულობას გამოვიჩენთ, მისს ქონებას არ დავიცავთ, პირიქით—მითი უკანონოთ ვისარგებლებთ, მივითვისებთ და სხვა, ეს ხელს შეუწყობს ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიურ-ფინანსიურათ დასუსტებას, დაცემას და მაშასადამე მთელი დემოკრატიის და აგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული

რეთვე ჩვენი საკუთარი მომავალი ინტერესების დაჩაგვრასაც. საბედნიეროთ ჩვენს დემოკრატიაში საკმარისათ მოიპოვება ისეთი კატეგორიები, რომელთაც საარაკო მხვერპლი მიაქვთ დემოკრატიის საკურთხეველზე. ასეთებია მაგ. ქალაქისა და სოფლის მუშების მოწინავე ნაწილები, რკინის გზის მუშა-მოსამსახურეები, მასწავლებელთა დიდი უმეტესობა და სხვა—ეს ავანგარდი ქართველი დემოკრატიისა, რომელსაც თავის მძლე ბეჭებზე გამოაქვს ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის მთელი სიმძიმე და გასაჭირი, იცავს რა მას თავისი სისხლით, ინახავს და ასულდგმულებს რა მას სანახევროთ უსასყიდლო შრომით და უდგას დემოკრატიის, მშობელ ერს და სახელმწიფოს ფოლადის ბურჯად, მხსნელ ფარად და მაცოცხლებელ მზედ, რითაც გვაძლევს შესანიშნავს მაგალითს იმისა, თუ როგორ უნდა იქცეოდეს დემოკრატია, როდესაც ის ხელთ იღებს ქვეყნის პოლიტიკურ სადავეებს.

(დასასრული იქნება)

მ—რი.

## გამგეობის დადგენილებიდან:

— გადაიდოს ერობის თანხიდან ორმოცდა ათი ათასი (50 000) მან. მდ. რიონის ნაპირების გამაგრების საჭიროებისათვის.

— მიმდინარე სეზონზე აგარაკ ბახმაროზე ერობის ექიმათ და მეტეოროლოგიური სადგურის გამგეთ დაინიშნოს ექ. ვლ. ცეცხლაძე და ამ მოვალეობისასრულებისათვის ეძლიოს მას თვეში რვა ათასი (8000) მანეთი.

— ოზურგეთის საერობო აფთიაქში ფარმაცევტათ დროებით დაშვებულ იქნას პროვიზორის თანაშემწე ალ. ლორენტი 3 ივნისიდან ა. წ.

— ფერშალ აგეევს მიეცეს გასული 1919 წ. მიუღებელი ჯამაგირი 1 თებერვლიდან 1 ივლისამდე სულ სამი ათას ორასი (3.200) მანეთი.

— მიღებულ იქნას ერობის სამსახურში და დაინიშნოს მახარაძის ცენტრ. საავადმყოფოში შ. ტროპაიძე 3 ივნისიდან ა. წ. ორი ათას სამასი (2.300) მან

— ექ. ლ. ივანოვი მიღებულ იქნას ერობის სამსახურში და დაინიშნოს ხვარბეთის საექიმო პუნქტის გამგეთ 1 ივნისიდან ა. წ. შვიდი ათასი (7.000) მან. ჯამაგირით თვეში.

— საჭიროთ იქნას ცნობილი საერობო აფთიაქის გახსნა ყველა საერობო საექიმო პუნქტებთან; მიენდოს საექიმო განყოფილებას შეიმუშაოს ამ აფთიაქების თანდათანობითი გახსნის წესი და ხარჯთ-აღრიცხ. და სასწრაფოთ მიაწოდოს გამგეობას დასამტკიცებლათ.

— ვეტერინარი ფერშალი არტ. [illegible] დაინიშნოს ჩოხატაურის უბანში დ. ხიდისთავში ბინადრობით 13 ამა ივნისიდან.

— ვეტ. ფერშ. პინაიშვილი განთავისუფლებული იქნას სამსახურიდან დღიდან მისი მიღებისა სამსახურში გამოუცხადებლობის გამო.

— მიღებულ იქნან ერობის სამსახურში და დაინიშნონ: 1) აბრამ გოლფახაერი მეექიმეთ 1 აპრილიდან ა. წ. 2) კუზმა რიგიხი—ცხენების მომვლელათ და მუშათ საჯინიბოში—ორთავენი შტატით განსაზღვრული ჯამაგირით.

მე 2 სანაპირო რაზმის ოზურგეთის განყოფილებას მიეცეს სესხათ მოკლე ვადით ხუთი ათასი (5.000) მან.

— დამტკიცდეს: ხვარბეთის თემის 1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვა, რომლის ბალანსს შეადგენს 122.820 მან; შემოქმედის თემის დამატებით შემოქმედის თემის დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა მიმდინარე 1920 წ. 80,300 მან. ბალანსით.

— გ. გოგუაძე დაინიშნოს დროებით განათლების განყოფილების გამგეთ 1 აპრილიდან ა. წ.

— მაზრაში მგზავრობის დროს ეძლიოს მას დღიური ასი (100) მან. და გზის ფაქტიური ხარჯები აუნაზღაურდეს ანგარიშების წარმოდგენის შემდეგ.

— გადაიდოს ოცი ათასი (20.000) მან. კიდევ ოზურგეთში შეხიზნულ ქართველ მაჰმადიანთა დასახმარებლათ.

— დამტკიცდეს გიორგი ბებურიშვილის მემკვიდრეების მამულის მიღების დამატებითი აქტი, შედგენილი 4 მაისს 1920 წ.

— მოქ. ალექსანდრე შალიკაიშვილს გაუდიდდეს კუთვნილი მიწის ნორმა 1 დესეტინით, ე. ი. მიეცეს მას 8 დეს. ნაცვლად შვიდისა.

— ნიკოლოზ სიმონისძე თაყაიშვილს უარი ეთქვას ნორმის გადიდებაზე.

— უყურადღებოთ იქნას დატოვებული სამსონ გოგიტიძის საჩივარი იმის შესახებ, რომ თითქოს მარიამ გოგიტიძეს უსამართლოთ მიიღო ნორმა ქმრის დანაშთ მამულებიდან და ოზურგეთის სააგრარიო კომისიის დადგენილება ხსენებულ მარიამ გოგიტიძისთვის ნორმის მიცემის შესახებ დამტკიცებული იქნას.

— დამტკიცდეს მიმდინარე 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვა შემდეგი თემებისა:

1. სუფსის 886.410 მან. ბალანსით.
2. აცანის—80 070 მ ნ. ბალანსით.
3. აკეთის—115.000 მან. ბალანსით.

## თემთა დადგენილებიდან.

### ხევის თემი

— სოფელ გადმოლმა ონჭიქვთის მცხოვრებთ გაეწეროს თემის ხვედრი გადასახადი და ამ დადგენილების სისრულეში მოსაყვანათ გამოეთხოვოს ერკეთის თემის გამგეობას ამ სოფლის მცხოვრებთა ოჯახური საბუთები.

— აღძრულ იქნას შუამდგომლობა ერობის გამგეობის წინაშე, რათა ხიდისთაველ მეწისქვილეებს აეკრძალოს მდინარე გუბაზოულის შეგუბვა და მდინარე ზამთარ-ზაფხულ ადინებოდეს თავის ბუნებრივ კალაპოტში.

— არჩეულ იქნას კომისია ხევის თემის უმაღლეს დაწყებით სასწავლებლის ანგარიშების ჩამოსართმევათ.

— შეპყრობილ იქნან და გაგზავნონ დასასჯელათ ის პირები რომელთაც შეურაცყოფა მიაყენეს და წინააღმდეგობა გაუწიეს მთავრობის მოხელეთ მოვალეობის ასრულების დროს.

— მოყვანილ იქნას სისრულეში თემის წარმომადგენლების დადგენილება ჯარში გაწვეულ მეომრების ოჯახთა დახმარების შესახებ.

— დაევალოს თემის მილიციას გამგეობასთან ერთად მიიღოს სასტიკი ზომები დეზერტირების წინააღმდეგ.

— მიხეილ სიხარულიძის შუამდგომლობის თანახმათ, არჩეულ იქნეს კომისია, რომელიც შეასწორებს სადაო ადგილის საზღვრებს.

— საფეოშლო პუნქტისათვის შეძენილი შენობის ფასი და ყოველივე ხარჯები გეწერილ იქნას თემის მცხოვრებლებზედ.

— სოფელ ბჟოლიეთზე გაწერილი გადასახადი დამტკიცებულ იქნას თემის საბჭოს მიერ; მომავალში ბჟოლიეთის ხვედრ გადასახადს გაწერს თემის საბჭო.

## ქრონიკა.

17 ივლისს გაიხსნა ქ. ოზურგეთში საზაფხულო კურსები. კურსები გახსნა სამაზრო ერობის განათლების განყოფ. გამგე გ. გოგუაძემ.

მსმენელთა რიცხვი 130. ამათში 50 მოწვეული უფლებო მასწავლებელია, დანარჩენი გარეშე მსმენელი, ვისაც სურვილი აქვს წოდება შეიძინოს. მსმენელებს მიესალმენ: სამაზრო ერობის გამგეობის სახელით-გამგეობის წევრი კ. ქავთარაძე, კურსების პედაგოგიურ საბჭოდან—ია ეკალაძე, სახალხო ვარდიის გურიის საოლქო შტაბიდან—რ. ჩხაიძე, გურიის მუშათა პროფესიონალურ კავშირთა საბჭოდან—ა. მენაბდე.

კურსების ხელმძღვანელ-მასწავლებლებად მოწვეულნი არიან: ქართულ ლიტერატურაში—ია ეკალაძე, საქართველოს ისტორიაში—ი. ფერაძე, მსოფლიო ისტორიაში—კ. ქავთარაძე, პედაგოგიკაში—ა. გოგუაძე, ბუნების მეტყველებაში და გეოგრაფიაში გ. გოგუაძე, არითმეტიკაში და დაწყებითი გეომეტრიაში—გ. კენკაძე.

## † ეპიფანე მგალობლიშვილი

ისედაც თემთა წვრილ ერთეულებში ცნობიერ და მუყაით მუშათა მცირე რიცხვს გამოაკლდა ერთი წევრი—ამხ. ეპიფანე მგალობლიშვილი. 15 დღის ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ტიფით გარდაიცვალა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა (27 წ.), ჯანღონით სავსე, დიდი ენერგიის მქონე ამხ. ეპიფანე. 1917 წ. გადატრიალების შემდეგ, პირველ ხანებში, ეპიფანე იყო ქ. ბათუმში მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს წევრი, სადაც ამხანაგებში დიდი პატივის ცემა და სიყვარული დაიმსახურა. ბათუმის დაცემის შემდეგ ის ცოტა ხნით კიდევ რჩება ჯარში, სადაც სასტიკათ ილაშქრებს მაშინდელ ერთბაშად გაბალშევიკებულ, უკეთ რომ ვსთქვათ, გაბოროტებულ ჯარის კაცების წინააღმდეგ. ამ ნიადაგზე მას დიდი უსიამოვნება ეხლება ყოფილ ჯარის კაცებთან, მაგრამ ის მაინც უშიშრად განაგრძობს ერთხელ არჩეული დემოკრატიული გზით სიარულს. ამის შემდეგ ის რჩება სოფელში. მუშაობს ს. ს. დ. იაჩეიკებში, კოლექტივში, რის დროსაც მას ეცნობა ხალხი, მოწინავე ამხანაგები და როგორც გამოცდილს, საქმის მცოდნეს და ამ წესწყობილების ერთგულ დამცველ-მოსიყვარულეს, ირჩევენ თემის გამგეობის წევრად. ის დღიდგან ერკეთის თემის დაარსებისა, უკანასკნელ წუთამდე მუშაობდა თ ე მ ი ს გამგეობაში. ბევრი შემთხვევა ქონდა ამხ. ეპიფანეს ქალაქის ადგილას უფრო კარგათ მოწყობის, იქ ადგილის შოვნის, მაგრამ ის ამას სხვებს უტმობდა და დაუღალავად უთვლიდა სოფლის მიტოვებას თავის კერძო სიამოვნებისთვის. თორემ თვითონ როგორ ჩაიდენდა?

ამიტომაც იყო, რომ ხალხი მას ენდობოდა, ხალხს ის უყვარდა, აფასებდა და ანდობდა კიდევაც თავის საქმეებს. ამხ. ეპიფანე მტკიცე დამცველი იყო დღევანდელი წესწყობილების, საქართველოს დამოუკიდებლობის და მისი უზენაეს კანონდებელი დამფუძნებელ კრების, დემოკრატიული მთავრობის. ამიტომაც ის

აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მის დაცვის საქმეში. ის ამავე დროს გვარდიელი იყო და როგორც ბოლშევიკების უაზრო გამოსვლების დროს, ისე სხვა და სხვა ფრონტებზე მიდიოდა. მისი უკანასკნელი ამოძახილი ამხანაგებისადმი: „ფრონტს არ ულალატოთ და, თუ ღმერთმა დამაცალა, მეც თქვენთან ვიქნებიო“, გაიძახოდა სიკვდილის ჟამს. ამხანაგ ეპიფანეს არ იცოდა გულის გატეხა, მას სჯეროდა, რომ, თუ კი ყველა გულშემატკივარი ამ წესწყობილებისა იქნებიან თავიანთ ალაგზე, დემოკრატიულ სადარაჯოზე, მტერი ვერას დააკლებდა, უმალ ის შეიმუსრება რაც გინდ მრავალრიცხოვანი არ იყოს იგი. ამიტომაც იყო რომ ბოლშევიკების მოახლოება ამხანაგს სრულებით არ აშინებდა მას სჯეროდა დიდი ნოეს სიტყვები: „ბოლშევიკები ჩვეულნი არიან მსუბუქ გამარჯვებას, მაგრამ ჩვენს საზღვართან იგემებენ მძიმე დამარცხებას“

ამხანაგო ეპიფანე! შემჩნეულია, რომ ასეთ გაჭირვების დროს, როდესაც გარეშე და შინაური მტრები შემოესევიან ჩვენს თავისუფალ საქართველოს რესპუბლიკას და ცდილობენ მის ჩაქოლვას, სწორედ ამ დროს გვეცლებიან ხელიდგან საუკეთესო მებრძოლი ამხანაგები. მაგრამ დარჩენილთ გულს არ გაგვიტეხს, პირიქით მეტი სიმხნევით, მეტი სიმამაცით ვიდგომებით დემოკრატიის სადარაჯოზე და მტერს არ დავუთმობთ იმას, რაც შენებრ მებრძოლებმა უყვარდათ და შესწირეს უკანასკნელ დღეში. ამ იმედით ტკბილად განისვენე ამხანაგო ეპიფანე! შენი წვრილი ცოლშვილის მუდამ პატივის მცემელი იქნება შენი ამხანაგ მეგობრები, შენი ხსოვნა კი სამარადისოთ დაუვიწყარი.

შენი ამხ. არსენ თოდრია.

## განათლების განყოფილებიდან.

გურიის ერობის თემის გამგეობებს გაეგზავნათ შემდეგი განკარგულება:

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მიერ გამოცემულ კანონის თანახმად, ახლო მომავალში საქართველოს ტერიტორიაზე არ უნდა მოიპოვებოდეს არც ერთი მოქალაქე, რომელმაც არ იცოდეს წერა-კითხვა, არ ჰქონდეს მიღებული განათლება დაწყებითი სკოლის ფარგლებში მაინც.

ამ კანონის შესასრულებლად, სამაზრო ერობას განზრახული აქვს შემოდგომიდან გურიის ყველა კუთხეებში დაარსოს მოზრდილთათვის საკვირაო სკოლები და საღამოს კურსები ამისათვის საჭიროა წინასწარ იქნას შეკრებილი უტყუარი ცნობები, თუ რამდენი წერა-კითხვის არმცოდნე ორივე სქესის 13 წლიდან 50 წლამდე. ამ ცნობების შეკრების ტეხნიკური მხარე სამაზრო ერობის გამგეობას წარმოედგინა ასე: თემის საბჭო დაიყოფა იმდენ კომისიად, რამდენიცაა თემში სასკოლო რაიონი, მაგალითად, თემში არსებობს 5 დაწყებითი სასწავლებელი (უმ. დაწყებითი სასწავლებელი არ ითვლება) მაშასადამე, საბჭო შეადგენს 5 კომისიას. თვითეული კომისია მიჩნეულ სასკოლო რაიონში (იმ უბანში, რომელსაც ემსახურება არსებული დაწყებითი სკოლა) შეადგენს ამასთანავე მოყოლებულ ბლანკებზე, სქესის და გვარის აღნიშვნით, წერა-კითხვის არმცოდნე პირთა სიას შედგენილ სიებს თემის გამგეობა ყოველ მიზეზს გარეშე წარმოადგენს სამაზრო ერობის გამგეობაში მიმდინარე წლის 20 აგვისტომდე.

## ნიგოით-შუხუთის რაიონის მასწავლებელთა კავშირის 28 აპრილის სხდომის მოკლე მიმოხილვა*).

(გაგრძელება).

12) ქართული ენის სწავლების დროს უმთავრესი ყურადღება უნდა მივაქციოთ გარკვეულ ლაპარაკს, რადგანაც ამით მივაღწევთ იმ მიზანს: გაეჩვევიან მოწაფეები ნამდვილ ქართულ ლაპარაკს და მტკიცედ სიტყვის გამოთქმით გაეჩვევიან მართლწერასაც; უნდა ვეცადოთ, აგრეთვე შევასწავლოთ მოწაფეებს საღი ლოგიკური მსჯელობა. ამისათვის აუცილებელ საჭიროებათ მივაჩნია შემოვიღოთ სკოლებში სიტყვიერი რეფერატები; განყოფილებიდან III კლასამდე ამ მიზნისათვის გადავდებთ ქართული ენის გაკვეთილიდგან კვირაში ერთი გაკვეთილი მასალათ გამოვიყენოთ განყოფილების და კლასების მიხედვით ისეთი თემები, რომლებიც წაახალისებს მოწაფეებს, შეასწავლის ფიქრს ზრუნვას და გამოიმუშავებს მათში საღ ლოგიკურ მსჯელობის ნიჭს, მაგალითად, ლაპარაკი ნანახის, განაგონის და ნაწერებისაც, 13) თვით ქართული ენის გაკვეთილების მიზნით ვისახავთ, რომ გამოვიმუშაოთ მოზარდ თაობაში საღი ცოდნა და შევაიარაღოთ ფაქიზი ზნეობით, ამისათვის ყოველი ლიტერატურული ნაწარმოებები ისე უნდა დავამუშაოთ, რომ მოწაფის გონებაში დასტოვოს ღრმა კვალი. რომ პოეტური ნაწარმოების შესწავლა არ დარჩეს უშინაარსო და ბუნდოვანი უკანასკნელისადმი ყურადღება უნდა მივაქციოთ მხატვრულ კითხვას; მოწაფეებს უნდა შევაჩვიოთ გამომეტყველებითი კითხვას, რომელსაც უსათუოდ უნდა დავუკავშიროთ

*) იხ. „გურ. ერ. მოამბე“ № 23.

მიძიკა, რადგან მიმიკა დაკავშირებულია ბავშვის სულის კვეთებასთან. რომ მოწაფეებში გამოვაწვიოთ მოქმედება, მოძრაობა და სიცოცხლე, შესაძლებელია ზოგიერთი ლიტერატურული ნაწარმოები გადავაქციოთ წარმოდგენად.

II ვინაიდან დღემდი არსებული მეთოდი არითმეტიკული სწავლებისა არ აძლევდა მოწაფეებს სათანადო ცოდნას არითმეტიკაში, აუცილებელ საჭიროთ და მიზან-შეწონილად ვცანით შემოვიღოთ I განყოფილებიდან IV კლასამდე ლაბორატორიული მეთოდი არითმეტიკის სწავლებისა, ვინაიდან ასეთი მეთოდის შემოღებით მოწაფეები შეიძენენ სალ ცოდნას არითმეტიკიდან — საგნობრივათ; ამისათვის ჩვენ სავალდებულოთ ვხდით ყოველივე ცოდნა არითმეტიკიდან მივაწოდოთ მოწაფეებს საგნების შემწეობით, რადგანაც ასეთი წესი სწავლებისა, გარდა იმისა, რომ მტკიცეთ შეათვისებს არითმეტიკას, ანვითარებს მოწაფის გრძნობებსაც. ამ მეთოდით თვითმოქმედება მოწაფისა, რაც საუკეთესო საშუალებაა შეთვისებისა, სდგას სათანადო სიმაღლეზე.

დანარჩენ კითხვების გარჩევა კრებამ ვერ მოასწრო, რადგან თბილისიდან მოსულმა ცნობებმა (ბოლშევიკების შემოსვლამ ბაქოში და ჩვენს საზღვართან მოახლოვებამ) ყველა აღელვა და აიძულა წასულიყვნენ თავთავიანთ ადგილებზე ადგილობრივათ სათანადო ზომების მისაღებათ.

ბ. ინსტრუქტორის მოხსენებამ ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე თავისი ახალი მეთოდიკური დებულებებით და კრებამ ერთხმად ასეთი ენერგიული შრომისათვის უღრმესი მადლობა გამოუცხადა რეფერანტს.

## აგრონომიული განყოფილება.

### ფუტკრის ნაწარმოების წარმოშობა და მისი დამუშავება.

ვისაც თვალი უდევნებია ფუტკრის ცხოვრებისათვის, კარგათ იცის, რომ ნაყარი ფუტკარი (მარცვე) ახალ ბინას მოსძებნის და შიგ მოთავსდება ხოლმე. ამ დროს ერთი წილი ფუტკრებისა ბინის გასუფთავებას იწყებს, სხვები კი სხვა და სხვა საქმის გაკეთებას შეუდგებიან: ზოგი ჭუჭრუტანების გასაგლესს წებოს — დინდგლს აგროვებს, ზოგს მოაქვს ტკბილი წვენი, რომელიც ყვავილებში ჩნდება და რომელსაც ნექტარს უწოდებენ და სხ... ნექტარი უმთავრესი მასალაა, ურომლისოთ სკას არსებობა არ შეუძლია და რომლისაგან თაფლი კეთდება ფუტკრების მიერ. ფიჭა, რომელიც უჯრებიდამ (თვლებიდან) შესდგება, კეთდება ცვილისაგან, ცვილი კი ფუტკრის ტანში მზადდება ისე, როგორც ქონი ცხოველის ტანში, მაგრამ ცვილი ფუტკრის ქონი კი არაა, ის მხოლოდ [illegible]ნსა შემადგენლობით და წარმოშობით [illegible].

მაგალითად, გასასუქებელ ფრინველს ამწყვდევენ ნახევრად ბნელ სამწყვდევში, უსპობენ მოძრაობის საშუალებას, ყავთ სიბნელეში და კარგათ კვებავენ. ცვილის გაჩენის დროს ფუტკრებიც თავის ნებით დგებიან ისეთსავე პირობებში, როგორშიც ადამიანი აყენებს გასასუქებელ ფრინველს. თაფლი რომ ცვილად გადააკეთოს, ფუტკარს უნდება ერთი დღე და ღამე.

როცა უჯრედებში თვლებში ბევრი თაფლია და ფუტკრები კარგად ძღებიან, ივინი იმყოფებიან ჯგუფებად და თვითეული ჯგუფის ფუტკრები შეერთდებიან, ძეწკვივით ჩამოეკიდებიან სკის (ბუკის) თავანს და ფარდასავით ჩამოეშვებიან ძირს ასაშენებელი ფიჭის პარალელურად. ეს ფუტკრების ძეწკვები ამ რიგათ კეთდება: ერთი ფუტკარი მაგრათ ეკვრის სკის თავანს თავისი წინა თათების პაწაწინა ჭყალებით, ხოლო უკანა ფეხებს დაბლა უშვებს; მეორე ფუტკარი თავის წინა ფეხებით ეკვრის პირველის უკანა თათებს, მესამე ფუტკარიც ასე ჩაებმის ხოლმე მეორეს და სხ. სანამ ეს ფუტკრის ძეწკვი არ შეუერთდება ფუტკრების მეორე ჯგუფის ამ გვარივე ძეწკვს. მაშინ ორი უკანასკნელი ფუტკარი ეკვრის უკანა ფეხებით ერთმანეთს ისე, რომ ეს შეერთებული ძეწკვები წარმოადგენს კედელზე ერთი მეორისაგან ცოტაოდნათ დაშორებულ ორ ლურსმანზე ჩამოკიდებულ კრიალოსანს.

ამ რიგათ ჩამოკიდებულ ფუტკრების სხეულში თაფლი გარდაიქმნება ხოლმე ცვილად და გამოჟონავს იმ ორ წყვილ პარკებში, რომელიც ტანის რგოლებს ქვეშ მუცლის ორივე მხარეზე აქვს ფუტკარს მოთავსებული. ცვილი პირველათ თხელი და მწვანეა, მაგრამ, როცა ჰაერი მიხვდება, ცივდება, მაგრდება და ხშირათ ცვივიან პაწაწა ქერქლის მსგავსად სკის (ბუკის) იატაკზე ცვივა. ეს ცვილის ნამცეცები ისე თხელია, რომ ხორბლის მარცვლის ოდენა ცვილის შესადგენათ ასობით არის საჭირო.

ფიჭების აშენების დროს ცვილის ნამცეცებს ადვილათ შეამჩნევთ სკის იატაკზე; განსაკუთრებით გრილი ღამის განმავლობაში ბევრი ცვილის ნამცეცები ცვივა, რადგან სიგრილის გამო მაგრდება და ადვილად ეშვება ძირს. ფიქრობენ, ახალგაზრდა ფუტკრები მეტ ცვილს ამზადებენ, ვინემ ხანში შესულები, რადგან პირველები უფრო მეტიანად სჭამენ თაფლსო. ცვილს ძალაუნებურათ ის ფუტკრებიც ამზადებენ, რომლებიც კარგი ღალიანობის დროს საშოვარზე დაფრინავენ.

ფუტკარს სკის ცვილი იატაკიდან ზევით ფიჭის ასაშენებლათ ნიკაპით გადააქვს; ნიკაპს ქვეშ ამოდებული ცვილი თბება და რბილდება. ამ ცვილის ნამცეცს ფუტკარი დაწყებულ ფიჭის შენობას აწებებს, შემდეგ მუშაობას კი სხვა ფუტკრები განაგრძობენ—ასწორებენ მოტანილ მასალას და აშენებენ თვლებს საზოგადოთ ფუტკრებს შრომის პრინციპი ძალიან დაცული აქვთ.

ამ გვარათ მთელი ოჯახის წევრთა შეერთებული ძალით შენდება ეს გასაოცარი შენობა— ფიჭა.

ფუტკრები ძველ ცვილსაც ხმარობენ ფიჭის ასაშენებლად: ძველი ცვილი ახალზე უმაგრესია და ამიტომ სადედე თვლების ასაშენებლად ამ მასალას ხმარობენ.

ახალი ნაშენი ფიჭა პირველად თეთრი ფერისაა, მაგრამ დროს განმავლობაში მუქ ფერს ღებულობს ეს იმიტომ, რომ, როცა ფიჭის ახალი და ნაზი თვლებიდან ფუტკრის ბარტყები იჩეკებიან, შიგ პერანგებს ანუ კანებს სტოვებენ, რის გამოც, რამდენათ მეტჯერ გამოიჩეკებიან ბარტყები, იმდენათ უფრო შავდება და სქელდება ფიჭა.

გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ ერთი გირვანქა ცვილის გაკეთებას უნდება 5 გირ. თაფლი.

### თაფლის დაწურვა.

ნახილავ (სკიდან ამოღებულ) თაფლს სხვა და სხვა ნაირად აცილებენ ფიჭას, ანუ წურავენ. მცოდნე მეფუტკრეები სარაჯებს ცეციან მანქანაში, რომლის შეძენა უბრალო მეფუტკრეს ძვირად დაუჯდება, ამიტომ იმის აღწერას და ხმარებას ჩვენ აქ აღარ შევუდგებით. ჩვენი უბრალო მეფუტკრე დასაწურავ სარაჯებს ქვაბში ჩასდებს, წამოათბობს ხოლმე ცეცხლზე და წურავს ტომრებში, სადაც ცვილი და უვარგისი ნაწილები რჩება, ხოლო თაფლი ტომრის ქვეშ შედგმულ ჭურჭელში ჩადის. ზოგჯერ თაფლს ხელებით სწურავენ, როგორც მაჭარს. ამ რიგად დაწურული თაფლი ცუდი ღირსების გამოდის, მღვრიე ფერი აქვს და ამიტომ მცირე ფასში იყიდება. უბრალო მეფუტკრეს ჩვენ ვურჩევთ ასე მოიქცეს: ჯერ სარაჯები უნდა გაარჩიოს: ახალი და თეთრი ცალკე დააწყოს, ძველი გაშავებული ცალკე; ისე რომ კარგი და ცუდი ღირსების არც თაფლი და არც ცვილი ერთმანეთში არ აირიოს. მერე უნდა აიღოს თვითეულად სარაჯი, დასდოს სუფთა მაგიდაზე და დასჭრას დანით, თვლების დაყოლებით, დაჭრილი სარაჯი ჩააწყოს თხელი დოლბანდის, ან ნარმის ტომარაში, დაკიდოს ტომარი ისე, რომ ქვეშ მოდგმული ჭურჭელი შედგას და დასტოვოს ისეთ ოთახში, სადაც საკმაო სითბო-ც იქნება და ვერც ფუტკრები შევლენ თაფლის მოსატაცებლათ. ერთი ღამის განმავლობაში თაფლი ჭურჭელში ჩამოვა, მშრალი ცვილი კი ტომარაში დარჩება. თუ გარეთ გრილა, ოთახში ცეცხლი უნდა დაინთოს. ამ რიგათ დაწურული თაფლი კარგი ღირსების გამოდის. რასაკვირველია, თვითეული სორის თაფლი ცალკე ჭურჭელში უნდა ჩაისხას. ასე დამუშავებული ცუდი ღირსების თაფლიც კარგ ფასში გაიყიდება, რადგან სუფთაა და უცეცხლო.

### ცვილის დამუშავება

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ფიჭებიც სხვა და სხვა ღირსების არის: ახალი ფიჭა თეთრია, ხოლო ძველი კი შავი. ამის მიხედვით თითეული სორის ფიჭა ცალკე უნდა გადავადნოთ.

ფიჭების გადადნობა ასე ხდება:

ჯერ წყალი უნდა გავაცხელოთ ქვაბში, მერე მშრალი ფიჭები ჩავყაროთ შიგ და ავურიოთ გათლილი ჯოხით, რომ ცვილი არ მოიხრაკოს. ნამეტანი ადუღება არ ვარგა ცვილი დამარცვლდება და გაცივების შემდეგ დაიფშვნება. ამისათვის ქვაბი ნელ ცეცხლზე უნდა გვედგას. როცა ცვილი კარგათ გადნება და გათხელდება, ეს სითხე თხელი ნარმის კუშტულიან პარკში უნდა გავწუროთ და ტაშტზე ან პირფართო ქვაბში ჩავასხათ. სანამ პარკი დაიწურებოდეს, ცხელი წყლით უნდა ვასველოთ, რომ შიგ ცვილი არ გაცივდეს. ცვილის სითხე ქაფს მოიყვანებს, რომელიც ქაფქირით ან ბატის ფრთით უნდა მოვხადოთ. ცვილის გაცივება მინანქრიან თუჯის ქვაბში სჯობია, რადგან აქ გაცივებული ცვილი არ დასკდება და ადვილათ მოსცილდება ქვაბის კედლებს. ყოველ შემთხვევაში ჭურჭელს, რომელშიც თხელ ცვილს ვასხამთ, წყალი უნდა გამოვცხოთ შიგნიდან გასაცურებლად დადგმულ ქვაბს. ერთიანად სარქველი უნდა ეხუროს. კარგად გაცივებული ცვილი ჭურჭლიდან უნდა ამოვიღოთ, ფსკერი დანით უნდა მოვსწმინდოთ, ჭუჭყი და უსუფთაობა მოვაცილოთ. თუ გვინდა ცვილი კარგი ღირსების გამოვიდეს, ხელახლა უნდა გადავადნოთ და ჩავასხათ ჭურჭელში გასაწურავათ. რამდენათ მეტჯერ გადავადნობთ ცვილს, იმდენათ ღირსება ემატება.

თუ ცვილის ნამცეცები მოგვიგროვდა, სუფთა ქოთანში უნდა ჩავყაროთ, თავი დოლბანდით მოვკრათ და მეორე ქოთანზე დავამხოთ, ცეცხლის პირათ დავდგათ და ვატრიალოთ, რომ ყოველგან გათბეს ქოთანი. როცა ზედა ქოთანი გახურდება, ცვილი გადნება, ქვეშა ქოთანში ჩაიღვრება, ხოლო ჭუჭყი კი დოლბანდზე დარჩება.

გ. მარაშიძე

## ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობას

ამასთანავე გაახლებთ ხიდისთავის ქალთა წრის მიერ ფრონტის სასარგებლოთ შეკრებილ 7314 მანეთის ფულით და ქვემორე ჩამოთვლილ ნივთებს*) შემომწირველთა სიითურთ. შემოწირულება ფულით გაიღეს სოფლებმა:

1, ხიდისთავმა—2168 მანეთი; 2, ბასილეთმა—1098 მანეთი; 3, ახალშენმა—825 მანეთი; 4, მეწიეთმა—1232 მანეთი; 5, წიფნაგვარა-პაიჭესოულმა—981 მანეთი; 6, ზენობანმა—987 მანეთი; აღმოჩნდა ზედმეტი შეგროვილი 23 მანეთი; სულ 7314 მან.

შემოწირეს ნატურით:

ა) ხიდისთავიდან:

1, სფიჩქა—10 კოლოფი; 2, პაპიროსის ქაღალდი—45 ცალი; 3, პაპიროსი—8 კოლოფი; 4, ძაფი—1 კოჭი; 5, თუთუნი—1 გირ.; 6, ჩაი—1 პარკი; 7, ლია ბარათი—19 ცალი; 8, ფოსტის ქაღალდი 29 ცალი; 9, ფოსტის კონვერტი—[illegible] ; 10, [illegible]—3 ცალი; 11, ნემსი—2 ხვეული; 12, საპონი—1 ცალი; 13, ბინტი—4 ცალი.

ბ) ახალშენიდან:

1, თუთუნი ფოთლ.—17 კვცა; 2, თუთუნი დაჭრილი—$1^1/_2$ გირ.; 3, ფოსტის ქაღალდი—12 ცალი; 4, ფოსტის კონვერტი—15 ცალი; 5, სფიჩქა—1 კოლოფი.

გ) ბასილეთიდან;

1, პაპიროსი—3 კოლოფი; 2, პაპიროსის ქაღალდი—5 ცალი (წიგ.) 3, სფიჩქა 2 კოლოფი.

ხიდისთავის ქალთა წრის გამგეობის თავმჯდომარე

ფოცია კალანდაძე

მდივანი ნადია კალანდაძე

## განცხადებანი

1 აგვისტოს ნატანებიდან ოზურგეთში მოგზაურობის დროს დავკარგე გვარდიის მოწმობა და მასთან ერთად ერთი თვის მგზავრობისათვის ნებართვის ბილეთი, რომელიც მოცემული იყო ოზურგეთის კომისარიატიდ ნ. დღეს რიცხვიდან [illegible] ქნება გაუქმებული. გვარდიელი [illegible].

*) ერობის გამგეობამ მიიღო შემოწირულება ნივთებით და ფულით 7314 მ. ხოლო წარმოდგენილ ფულში აღმოჩნდა ყალბი 174 მანეთი. შემომწირველთა სახელი და გვარი უადგილობის გამო ვერ იბეჭდება.

რედაქცია.

---

შემოქმედის თემის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ, თუ ვინმეს აღმოაჩნდება რელსები ან მისი სხვა მასალები, ეს იქნება ჩოლოქის ავარაკიდან მოპარული, სადაც დაიკარგა თემის კუთვნილი ასეთი ნივთები. თემის გამგეობა სთხოვს ყველა პირს, ვინც კი რაიმე იცის, აცნობოს მას ვინაობა ამ საგნების მიმთვისებელისა.

---

4 ივლისს ამა წლისა დავკარგე პირადობის მოწმობა № 622. ვინაიდან მოსალოდნელია, რომ მპოვნელმა ის ბოროტად გამოიყენოს, ამისათვის ვაცხადებ, რომ მოწმობა № 622 გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს

საჭამიასერის თემის გამ. თავმჯ. ლ. ჟღენტი.

---

ექიმი

## ი. უჯმაჯურიძე

ყოფილი ასისენტი ქიტომირის ქ. ქირურგიული სამხედრო ჰოსპიტლისა ღებულობს ქირურგიულ და შინაგან ავათმყოფებს 8—11 საათამდე დილით და 5—7 ს. საღამოს

კვირიკეთის ქუჩ. კობალაძის სახლში

---

ლიხაურის თემის მცხოვრები ზაალ თაყაიშვილი ამით აცხადებს, რომ მას აქვს გასაყიდი საუკეთესო წისქვილის ქვები. მსურველებმა უნდა მიმართონ მას, ქ. ოზურგეთში, რესტორან „ორიენტში“.

---

რედაქტორი—კოლეგია.

---

გამომცემელი—ოზურ. სამაზრო ერობის გამგეობა

სტამბა ალექ. ა. კალატოზიშვილისა ქ. ოზურგეთი.